საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდასამი წლის ცამეტ ივლისს, მე, დავით ჩალათაშვილმა საქართველოს ნოტარიუსმა, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, მტკვრის ქუჩა #4. კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით დავამოწმე წინამდებარე მინდობილობა. მე დავადგინე მიმნდობი პირის - **ზურაბ დავლიანიძის** (დაბ.: 14.04.1978წ., რეგისტრირებული მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, საირმის ქუჩა, კორპუსი 10, ბინა 19, პირადი #01006001452, პ/მ სერია 17IA97641) (ამჟამად, მისივე განცხადებით იმყოფება ესპანეთში) პირადობა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზიდან, მისი პირადობის მოწმობის მონაცემების გამოყენებით და ვადასტურებ, რომ ნამდვილად **ზურაბ დავლიანიძეს** (დაბ.: 14.04.1978წ., რეგისტრირებული მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, საირმის ქუჩა, კორპუსი 10, ბინა 19, პირადი #01006001452, პ/მ სერია 17IA97641), როგორც შპს **„ლაქი ქონსთრაქშენი"**-ს (ს/კ:405370708) დირექტორს, სურს მინდობილობის შედგენა. მე აგრეთვე დავრწმუნდი მის ქმედუნარიანობაში. **ზურაბ დავლიანიძის** განცხადებით და თხოვნით, წინამდებარე მინდობილობას ხელს აწერს ბატონი **ზურაბ ლუარსაბიშვილი.** მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერვე წარმოდგენილი პირადობის მოწმობით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **ზურაბ ლუარსაბიშვილი** (დაბ.:06.03.1981, პირადი # 01011026665, პ/მ სერია 22IB82463, რეგისტრირებული მისამართი: მცხეთა გმირის ქ. N 1 ბ. 4) დაესწრო სანოტარო მოქმედების შესრულებას. გარდა ამისა. სანოტარო მოქმედებაში, მოწმის სახით მონაწილეობს **შალვა ომანაძე** (დაბად.04.09.1986, პირადი #01025017170, პ/მ სერია 13IG27627, რეგისტრირებული მისამართი: თბილისი გიორგი შატბერაშვილის ქ. N 24 ბ. 26) (მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის მოწმობით, ასევე დავრწმუნდი მათ ქმედუნარიანობაში). სანოტარო მოქმედების ყველა მონაწილე გავაფრთხილე მოწმეობის გამომრიცხავი გარემოებების შესახებ, სანოტარო მოქმედების ყველა მონაწილემ დაადასტურა მოწმეობის გამომრიცხავი გარემოებების არარსებობის შესახებ. მე ასევე შევამოწმე მისი უფლებამოსილება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B22069366, 06/06/2022 13:03:41) და შპს **„ლაქი ქონსთრაქშენი"**-ს (ს/კ:405370708) წესდების საფუძველზე და დავრწმუნდი, რომ **ზურაბ დავლიანიძე** ნამდვილად არის შპს **„ლაქი ქონსთრაქშენი"**-ს (ს/კ:405370708) დირექტორი. მინდობილობის გამცემის და ჩემი, ნოტარიუსის პირდაპირი ვიზუალური კონტაქტის საშუალებით, **ზურაბ დავლიანიძეს** განვუმარტე მინდობილობის ტექსტის შინაარსი, მან მოიწონა იგი და განაცხადა, რომ იგი გამოხატავს მის ნებას და სურვილს.

ორი ათას ოცდასამი წლის ცამეტი ივლისი
მინდობილობა

მე, **ზურაბ დავლიანიძემ** (რეკვიზიტები მითითებულია ზემოთ), როგორც შპს **„ლაქი ქონსთრაქშენი"**-ს (ს/კ:405370708) დირექტორმა, შემდეგში „მარწმუნებელი", ამ მინდობილობით, **დავით ლოსაბერიძეს** (დაბად.14.03.1967, პირადი #01005006844), შემდეგში „რწმუნებული", მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

რწმუნებული იყოს ჩემი წარმომადგენელი ნებისმიერი ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებში (მერია, გამგეობა, მუნიციპალიტეტი) და მათ სამსახურებში, მათ შორის არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, რათა ნებისმიერ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით **შპს „ლაქი ქონსთრაქშენი"**-ს (ს/კ:405370708) სახელით წარადგინოს, გამოითხოვოს, მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტი, ცნობა, ინფორმაცია, განცხადება, ნებართვა, ჩემი სახელით აწარმოოს პროექტირებასთან, წითელი ხაზების დადგენასთან, მშენებლობის ნებართვის მიღებასთან, გადავადებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობა, წარადგინოს და შეათანხმოს პროექტი, შეიტანოს ცვლილება არსებულ პროექტებში, მიიღოს ნებართვა, მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტებს, მათ შორის განახორციელოს **შპს „ლაქი ქონსთრაქშენი"**-ს (ს/კ:405370708) სახელით ელექტრონულად ხელმოწერა შესაბამის განცხადებაზე და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

მინდობილობა ძალაშია 2024 (ორიათას ოცდაოთხი) წლის 13 (ცამეტ) ივლისამდე. მინდობილობა გაცემულია სამ ეგზემპლარად, რომელთაგანაც ერთი ინახება ნოტარიუს დავით ჩალათაშვილის სანოტარო ბიუროში, ხოლო დანარჩენი გადაეცა **შალვა ომანაძეს**. მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროში თან ერთვის შემდეგი დანართი დოკუმენტები: 1. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერი; 2. **შპს „ლაქი ქონსთრაქშენი"**-ს წესდება ინახება ჩემს სანოტარო არქივში, რეგისტრაციის #**221318885**. გადახდილია სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის განკუთვნილი სახელმწიფო ბაჟი, საქართველოს მთავრობის 2011წ. 29 დეკემბრის #507 დადგენილებით დამტკიცებული - „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფო ბაჟისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობები, მათი გადახდევინების წესი და მომსახურების ვადები"-ს შესახებ 32-ე მუხლის შესაბამისად 90 (ოთხმოცდაათი) ლარი, დღგ 16.20 (თექვსმეტი ლარი და ოცი თეთრი) ლარი - თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა და 39 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური - 5.00 (ხუთი) ლარი. სულ 111.20 (ას თერთმეტი ლარი და ოცი თეთრი) ლარი.

ხელისმოწერა _____ **ზურაბ ლუარსაბიშვილი**
(**ზურაბ დავლიანიძის, როგორც შპს „ლაქი ქონსთრაქშენი"**-ს დირექტორის ნაცვლად)

მოწმე _____ **შალვა ომანაძე**

ნოტარიუსი

დავით ჩალათაშვილი